სქემა: ბლუმის ტაქსონომია

ბლუმის ტაქსონომიის გააზრება მაგალითის საშუალებით

მაგალითი: **ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება**

თემა: **პერსონაჟის დახასიათება**

თემის დაკონკრეტება: **ტექსტის ორი პერსონაჟის, გიორგის და კესოს დახასიათება**

მასწავლებლის მიზანი: **ასწავლოს მოსწავლეებს, როგორ დაახასიათონ ტექსტის პერსონაჟები**

მიზნის მიღწევის სტრატეგია: **სწავლების პროცესში ამოქმედდეს მოსწავლის აზროვნების სხვადასხვა დონე: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება.**

<u>ცოდნა-></u> მოსწავლე ***აკავშირებს*** ერთმანეთთან ადამიანის თვისებების გამომხატველ სინონიმებსა და ანტონიმებს;

<u>გაგება-></u> დასახელებული თვისებებიდან შეუძლია ამოარჩიოს გიორგის მახასიათებლები და კესოს მახასიათებლები (ტექსტში არსებული ინფორმაციის მიხედვით)

<u>გამოყენება-></u> მასწავლებლის მიერ განხილული ნიმუშის მიხედვით მოსწავლეს შეუძლია ააგოს კონსტრუქცია: „კესო გიორგისთან შედარებით უფრო ------";

<u>ანალიზი-></u> შეუძლია შენიშნოს/გაასწოროს/ დააკორექტიროს დამახასითებელი სიტყვის (ზედსართავი სახელის) არსებით სახელთან ბრუნვაში არასწორი შეთანხმება (მაგ. გაასწოროს არასწორი ბრუნვის ნიშანი, შეთანხმება რიცხვში) როგორც თავის, ასევე თანაკლასელის ნამუშევარში.

<u>სინთეზი-></u> შეუძლია დაწეროს/ წერს მეგობრის, თანაკლასელის დახასიათებას

<u>შეფასება-></u> ნასწავლი ტექსტის მიხედვით აფასებს, ვინ უფრო რომანტიკული და ყურადღებიანია გიორგი თუ კესო, მოჰყავს არგუმენტები ტექსტში ამოკითხული ინფორმაციის გამოყენებით.

სააზროვნო დონეები	**ქმედება**
ცოდნა	დაალაგე, აღწერე, განსაზღვრე, გაიხსენე, შეარჩიე, დააკავშირე, დაასახელე..
გაგება	ახსენი, შეაჯამე, მოიყვანე მაგალითი, დაალაგე, შენი სიტყვებით ჩამოყალიბე...
გამოყენება	გამოიყენე, განახორციელე, მოამზადე, შეცვალე, ააგე...
ანალიზი	გააანალიზე, შეამოწმე, ააგე დიაგრამა/ სქემა, შეადარე..
სინთეზი	შეიმუშავე გეგმა, გადააწყვე, შეცვალე, შეიმუშავე ჰიპოთეზა და შეამოწმე...
შეფასება	შეაფასე, დაასაბუთე, მოიყვანე არგუმენტები...

სააზროვნო დონეები	**დონეები**
ცოდნა	დაბალი დონე
გაგება	
გამოყენება	
ანალიზი	მაღალი დონე
სინთეზი	
შეფასება	